გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 193

2022 წლის 17 ოქტომბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის წლის ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის წლის ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
"გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"
Non-profit (non-commercial) Legal Entity
"Amenities Agency of Gori Municipality"

წერილის ნომერი: **12-2022269129**
თარიღი: **26/09/2022**

ადრესატი: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბატონო დავით,

თქვენი 12.09.2022 წლის №21-21222557 წერილის პასუხად გიგზავნით ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"-ს მიერ 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს განყოფილებების მიხედვით.

1.პარკირების განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე პარკირების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

2022 წლის მდგომარეობით სულ გადმოცემულია 148 პარკირებისთვის განკუთვნილი ადგილი,

პირობითად 1500 ავტომობილისთვის, მათ შორის 19 ტაქსის - 75 მსუბუქი ტაქსის და 47 შშმ. პირთათვის განკუთვნილი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 125^4 მუხლი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისათვის საანგარიშო პერიოდში პარკირების ინსპექტორების მიერ შედგენილია 17837 საჯარიმო ოქმი. მოქალაქეების მიერ შეძენილია 3161 საშვი.

მუნიციპალური სერვისების განვითარების ფონდთან ერთად შეიქმნა ახალი ცენტრალიზებული სისტემა, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში პარკირების სერვისის გაუმჯობესებას.

პარკირების სამსახური გადავიდა ახალ პროგრამულ სისტემაზე https://apps.municipal.gov.ge/ მთლიანად შეიცვალა საიტის goriparking.ge-ს, როგორც დიზაინი, ისე განახლებული მონაცემთა ბაზები,რაც მოქალაქეებს უმარტივებს პერსონალური მონაცემების გადამოწმებას. ამასთანავე, იგეგმება ქალაქის 148 ადგილზე დახაზვითი სამუშაოების განხორციელება.

საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს ჯარიმასთან ერთად ერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.სამშენებლო,სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

მოგახსენებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილებამ შეასრულა 107 წერილი, ხოლო უარი ეთქვა 23 წერილს.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა 55 ერთეული საცხოვრებელი კორპუსისა და მუნიციპალური შენობების დაზიანებული სახურავების შეკეთება.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა 7 ერთეული ხიდის რეაბილიტაცია.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საავტომობილო გზებზე მოხდა სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური ბარიერებისა (37 ლოკაცია) და შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტ. სოფლებში, მინი საფეხბურთო და სპორტულ მოედნებზე (9 ერთეული) მოხდა დაზიანებული მავთულბადისა და რკინის კონსტრუქციების აღდგენა.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა 19 ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის რეაბილიტაცია.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ სკვერებში (25 ერთეული) მოხდა სკამების შეკეთება - შეღებვა.

ქ. გორში და გორის მუნიციპ. სოფლებში არსებულ სკვერებში და სატრენაჟორო კომპლექსში (11 ერთეული) მოხდა დაზიანებული საბავშვო ატრაქციონებისა და ტრენაჟორების შეკეთება.

ქ. გორში არსებულ სანიაღვრე არხებზე (12 ლოკაცია) მოხდა ცხაურების მოწყობა და დაზიანებული ცხაურების აღდგენა.

ქ. გორში მოხდა დაზიანებული საგზაო ნიშნების (41 ცალი) აღდგენა, ხოლო სოფლების ზერტი-კვარხეთის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მოხდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებისთვის შესაბამისი საგზაო ნიშნების მონტაჟი.

ქ. გორში არსებულ საცხოვრებელ კორპუსებში (28 ერთ.) მოხდა დაზიანებული წყალშემკრები მილების აღდგენა.

ქ. გორში არსებულ სკვერებში (15 ერთეული) მოხდა დაზიანებული ონკანებისა და წყლის მილების შეცვლა.

ქ. გორში, სტალინის ბაღში, შიოს წყაროზე, ბარათაშვილის ძეგლთან, თეატრის ეზოში და ვოლოგდის დასახლებაში არსებულ სკვერებში მოხდა შადრევნების რეაბილიტაცია.

ქ. გორში, სტალინის ბაღში, გოგებაშვილისა და სამეფოს ქუჩებზე, აგრეთვე საკრებულოს შენობასთან მოხდა სარწყავი სისტემის მოწესრიგება.

ქ. გორში, ძმები რომელაშვილების ქ. N-179-ის მიმდებარედ მოეწყო სკვერი.

სოფელ ღვარებში მოხდა სასმელი წყლის რეზერვუარის გადახურვა.

ქ. გორში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე და ჭავჭავაძის ქუჩაზე, საავტომობილო გზაზე მოხდა ქვეითთა გადასასვლელების მონიშვნა.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე, სპორტსკოლასთან და მასთან არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელებთან მოხდა ლითონის მოაჯირების აწყობა-მონტაჟი და შეღებვა, აგრეთვე ბარნოვის ქუჩაზე მოხდა დაზიანებული მოაჯირების აღდგენა.

ქ. გორში, ძმები რომელაშვილების N-179-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, იუსტიციის სახლთან

მდებარე შადრევანთან, სტალინის გამზირზე, სპორტსკოლის შენობასთან და ძმები რომელაშვილების სკვერში მოხდა დეკორატიული ფილების მოწყობა, ხოლო ლომჭაბუკის ძეგლთან და სამხატვრო სკოლასთან შეიღება ბორდიურები.

ქ. გორში, N-1 საბავშვო ბაგა-ბაღში, საყრდენ კედელზე მოხდა ბეტონის ჩასხმა, შელესვა და შებრიზგვა, ხოლო სოფელ ატენში არსებულ საბავშვო ბაღში მოხდა დაზიანებული მავთულბადის ღობის აღდგენა და შეღებვა.

სოფ.ზეღდულეთში მოხდა სასაფლაოს ღობის ნაწილობრივი შემოღობვა და დამცავი ღობის შეღებვა.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გარე განათების ბოძებისთვის პერიოდულად ხდება სანათის სამაგრების დამზადება.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე და ჭავჭავაძის ქუჩაზე - ფოსტის შენობასთან მოხდა ბეტონის ბოწკინტების მონტაჟი, ხოლო საკრებულოს შენობასთან, ცხინვალის გზატკეცილზე, აგრეთვე ავტოსადგურისა და იუსტიციის სახლის მიმდებარედ მოეწყო პლასტმასის ბოძკინტები.

ქ. გორში, მდინარე მტკვარზე არსებულ ე.წ. “ძველი ხიდის“ საფეხმავლო სივრცეებზე, ფეხით მოსიარულეთა აკრძალვის მიზნით, ბორდიურებზე მოხდა ლითონის ბარიერების მოწყობა.

ქ. გორში, სპორტსკოლის შენობაში და მასთან არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში მოხდა კარებების მონტაჟი.

ქ. გორში, პაპიტაშვილის ქუჩაზე და ელექტროფიკაციის დასახლებაში, აგრეთვე სოფელ კვარხეთში, საფეხბურთო მოედანზე მოხდა განათების ბოძების მონტაჟი, ხოლო სტალინის გამზირზე და ჭავჭავაძის ქუჩაზე შეიღება გარე განათების ბოძები.

ქ. გორში პერიოდულად ხდება დაზიანებული რკინის სანაგვე ურნების აღდგენა და სკვერებში მდებარე რკინის პატარა ურნების შეკეთება - შეღებვა.

ქ. გორში მოხდა ძმები რომელაშვილების მემორიალის რეაბილიტაცია, ხოლო სტალინის გამზირზე, 26 მაისის ღონისძიებისთვის მოხდა ბანერების აწყობა-მონტაჟი.

ქ. გორში, ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, სოფელ სვენეთის გზაგამტარის ქვეშ მოხდა კედლების გასუფთავება სარეკლამო პლაკატებისგან.

ქ. გორში, მშვიდობის გამზირზე კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრის წინ მდებარე მოედანზე მოხდა დაზიანებული სააფიშე დაფისა და პაპიტაშვილის ქუჩის აღმნიშვნელი ბანერის აღდგენა.

ქ. გორში, ჭანტურიას ქუჩაზე დემონტაჟი ჩაუტარდა სიჩქარის შემზღუდველ ხელოვნურ ბარიერებს და შესაბამის საგზაო ნიშნებს, აგრეთვე მშვიდობისა და ნადირაძის ქუჩებზე დემონტაჟი ჩაუტარდა გარე განათების ბოძებს, ხოლო დავით აღმაშენებლის გამზირზე, ყოფილი პოლიციის შენობასთან მოხდა რკინის ბოძკინტების დემონტაჟი.

ქ. გორში, სხირელის სახელობის საჭიდაო დარბაზთან და სოფელ ზემო ხვითში, სკოლის ეზოში დემონტაჟი ჩაუტარდა დაზიანებულ საბავშვო ატრაქციონებს, ხოლო ქართლისა და გურამიშვილის ქუჩაზე, სავაჭრო ობიექტებთან მოხდა უკანონოდ მოწყობილი რკინის კონსტრუქციების დემონტაჟი.

3.ტრანსპორტის განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

სააგენტოს სარგებლობაში არსებული ტრანსპორტი განაწილებულია განყოფილებების მიხედვით. კერძოდ: დასუფთავების სამსახურს ემსახურება შვიდი ერთეული სპეც. ტექნიკა(რობოტი) ქალაქიდან და სოფლებიდან ნარჩენების გასატანად. ქალაქის მოსახლეობას ზარის პრინციპით ემსახურება ხუთი ერთეული გაზიკის ტიპის თვითმცლელი და გაზელის მარკის სამი ერთეული ავტომობილი, ქალაქის ქუჩებში ფოთლების მოსაგროვებლად გვყავს გამოყოფილი მერსედესის მარკის სპეციალური მტვერსასრუტი, ქუჩების მოსარწყავად საჭიროების მიხედვით ემსახურება ორი ერთეული გაზელის მარკის ავტომობილი, რომელთა ძარის გადაწყობის შემდეგ შესაძლებელია ზამთრის პერიოდში თოვლის გახვეტა და ტექნიკური მარილის მობნევა. ზამთრის თვეებში მარილის მოსაბნევად საჭიროების მიხედვით ქალაქში გასული იქნა ტექნიკა და მარილი მობნეული იქნა საპატრულო ეკიპაჟის

მიერ მითითებულ ადგილებზე. მშენებლობის განყოფილებას ემსახურება სამი ერთეული- ორი კამაზის და ერთი ფორდის ტიპის თვითმცლელი, გრეიდერი, სამი ტრაქტორი, ბობკატი და ერთი მერსედესის მარკის სამგზავრო. გამწვანების განყოფილებას ემსახურება ორი ერთეული ამწე კალათი, ფორდის მარკის სატვირთო სამგზავრო და ფიატის მარკის მსუბუქი ავტომობილი. განათების განყოფილებას ემსახურება ერთი ამწე კალათი და ერთი ფორდის მარკის სატვირთო-სამგზავრო.

ტრანსპორტის განყოფილებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და გრაფიკი, როგორც სოფლებში, ასევე უბნებში მომსახურე და მორიგე ტრანსპორტისათვის. ყველა ტრანსპორტზე დაყენებულია აგა-ის სისტემა, იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც ვერ მონტაჟდება აგა-ის სისტემა - გვაქვს ნომრიანი პლასტიკური ბარათები. რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს ტრანსპორტში ფაქტიურად ჩასხმული საწვავის რაოდენობას, რომელიც აისახება სპეციალურ ვებ გვერდზე. ასევე ყველა სატრანსპორტო საშუალებას დამტკიცებული აქვს საწვავის ხარჯვის თვიური ლიმიტი. კეთილმოწყობის სააგენტოს ბალანსზე და დროებით სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე და სპეციალურ ტექნიკაზე ჩატარებულია ექსპერტიზა და დადგენილია საწვავის ხარჯვის ნორმები, ასევე ვსარგებლობთ ფაქტობრივი ხარჯისა და ცალკეული მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. რის საფუძველზეც ხდება გახარჯული საწვავის ჩამოწერა. სააგენტოს სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებულია GPS სისტემები, რაც საშუალებას გვაძლევს ვაკონტროლოთ ობიექტზე გაგზავნილი ტექნიკის ადგილმდებარეობა. სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყველა ტრანსპორტზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი მძღოლები, რომელთანაც გაფორმებულია თანხმობის ბარათი და მიღება ჩაბარების აქტი ტრანსპორტის ტექნიკური მდგობარეობის აღწერით.

2022 წლისათვის განყოფილების მიერ განსაზღვრული იქნა განყოფილებების მიხედვით წლის განმავლობაში შესაძენი საწვავის, ზეთების, საპოხი მასალების, აკუმულატორის, საბურავების, ანტიფრიზის და სხვა მასალების რაოდენობა. გათვალისწინებულია სპეც. ტექნიკის და ტრანსპორტის მომზადება და მიმდინარე რემონტის ჩატარება ავტოტრანსპორტის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასატარებლად. საანგარიშო პერიოდში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარა 22 სატრანსპორტო საშუალებამ. ოქტომბრის თვეში გრაფიკით გათვალისწინებულია ერთი სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებაზე გატარება.

მიმდინარე წელს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასატარებლად გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები და მწყობრში იქნა მოყვანილი ყველა ტექნიკა, კერძოდ ყველა მანქანას ჩაუტარდა სავალი ნაწილის სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა სხვადასხვა ნაწილები, კამაზის მარკის თვითმცლელ ავტომობილს გაურემონტდა ძრავი, ნაგავმზიდ ტექნიკას გაურემონტდა გადაცემათა კოლოფი და ელექტრო მოწყობილობა. ეტაპობრივად ხდება ძრავებში, ჰიდრავლიკურ სისტემაში, გადაცემათა კოლოფში და წამყვან ხიდებში ზეთების შეცვლა. ავტომობილებზე შეცვლილი იქნა აკუმულატორები. პერიოდულად ხდება დაზიანებული მაღალი წნევის მილების შეცვლა. ხელშეკრულებები გაფორმდა ორგანიზაციებთან, რომლების გვაწვდიან და ადგილზე ცვლიან საწვავის, ზეთის და ჰაერის ფილტრებს, ასევე მომწოდებლების მიერ ხდება საბურავების შეცვლა.

პანდემიის პერიოდში სპეც. ტექნიკას პერიოდულად უტარდებოდა დეზინფექცია. მძღოლებს პერიოდულად ურიგდებათ სპეც. ტანსაცმელი, ხელთათმანები, პირბადეები, სპეციალური დამცავი ფარები და სადეზინფექციო ხსნარი.

საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის განყოფილებას დაეწერა წერილები სხვადასხვა საკითხებზე, ძირითადად მერის წარმომადგენლებისაგან იყო თხოვნები ტექნიკით დახმარების თაობაზე, როგორც სარწყავი არხების გასაწმენდად, ასევე სტიქიური ნაგავსაყრელების დასასუფთავებლად.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებას დაეწერა 94 წერილი, რომლებიც შესრულებული იქნა ვადების დაცვით.

დღეის მდგომარეობით ბულდოზერი კომაცუ აწარმოებს მდინარე მეჯუდის კალაპოტის გაწმენდით სამუშაოებს. სამუშაოები შესრულდება მონაკვეთზე - პაპიტაშვილის ხიდიდან მდინარე მტკვრისა და ლიახვის შესართავამდე.

4.გარე და დეკორატიული განათების განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრის თვიდან 2022 წლის ოქტომბრის თვემდე გარე და დეკორატიული განათების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

ყოველდგიურად საღამოს საათებში ვახორციელებთ ქალაქის შემოვლას ღამის განათების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, რეგულარულად გვაქვს კონტაქტი მერის წარმომადგენლებთან სოფლის თემებში. აღდგენილია დაზიანებული ხაზები სოფლებში: სკრაში, ხიდისთავში, კარალეთში, ტინისხიდში, ფლავისმანში, ტირძნისში, ნიქოზში, დიცში და სხვა სოფლებში. ასევე სისტემატიურად მიმდინარეობს დაზიანებული მაგნიტური გამშვებისა და ელ გამშვების შეცვლა(აღდგენა) ქალაქსა და რაიონებში.

2021 წლის დეკემბრის თვეში ჩვენი სამსახურის მიერ იქნა შესრულებული საახალწლო სამუშაოები: მოირთო ნაძვისხე და ცენტრალური ქუჩები. ასევე მოხდა დემონტაჟი.

ასევე მერის წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძვლებზე მიმდინარეობს ქალაქსა და რაიონებში სანათების შეცვლა-დამატება.

ამ საანგარიშო პერიოდში ჩვენი განყოფილების მიერ მოხდა 492 წერილის შესრულება და 13 წერილი დაუარდა.

სტალინის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელებში მოეწყო განათება.

რეაბილიტირებულია სკვერებისა და შადრევნების განათება. დაყენდა და შეიცვალა დეკორატიული ბურთულები სკვერებში: სტალინის სკვერის, თეატრის, შიოს წყაროს, მე-3 სკოლის სკვერში, გორგასლის სკვერში, კაჩინსკის სკვერში, კვერნაკის სკვერში, ფლავისმანის სკვერში და სხვა სკვერებში. მოხდა ბარათაშვილის სკვერთან არსებული ფანტანის აღდგენა და ლედ პროჟექტორებით განათება, ასევე გაეშვა და მოეწყო იუსტიციის მიმდებარედ არსებული ფანტანი.

მთლიანად შეიცვალა ჭალაში არსებული სკვერების განათებები და შეიცვალა ძველი სანათები ახალი დიოდური სანათებით, მოეწყო ახალი სკვერი და მოხდა განათებების დაერთება.

მტკვირს და რკ. ხიდებზე მოხდა სანათების ამოცვლა.

მოხდა რაიონებში არსებული საჭიდაო მოედნების განათებების აღდგენა.

სისტემატიურად მიმდინარეობს ქალაქსა და რაიონების მინი სტადიონების განათების აღდგენა განახლება. უნივერსიტეტთან არსებულ „ზაზა ფაჩულიას“ სახელობის კალათბურთის სტადიონზე დაყენდა ლედ პროჟექტორები.

სრულად შეიცვალა ძველი განათება ახალით 50, 100 და 150 ვატიანი დიოდური სანათებით შემდეგ ქუჩებზე:

1. შინდისის გმირების ქუჩაზე დაყენდა 100 ვატიანი 58 ცალი სანათი.

2. ორთაშენში 150 ვატიანი 66 ცალი სანათი.

3. ჭავჭავაძეზე კვერნაკის ასასვლელში 100 ვატიანი 36 ცალი სანათი.

4. გურამიშვილის ქ. 21-ე სანაპიროსთან 100 ვატიანი 40 ცალი სანათი.

5. პუშკინის ქ. 100 ვატიანი 26 ცალი სანათი.

6. რკ. სადგური 50 ვატიანი 56 ცალი სანათი.

7. პაპიტაშვილის ქ. 50 ვატიანი 25 ცალი სანათი.

8. ანწუხელიძის ქ. 50 ვატიანი 33 ცალი სანათი.

9. ტინისხიდის შესასვლელი 50 ვატიანი 28 ცალი სანათი.

10. რაზმაძეზე 150 ვატიანი 14 ცალი სანათი.

11. თამარ მეფეზე 100 ვატიანი 11 ცალი სანათი.

საანგარიშო პერიოდში სოფლებსა და ქალაქში შეცვლილ იქნა 1695 ცალი ეკო ნათურა, სოდიუმის ნათურა 68 ცალი, დროსელი 255 ცალი, სადენი 4020 მეტრი, იზუ იგნატორი 11 ცალი, მაგნიტური

ჩამრთველი 82 ცალი, ავტომატიური ამომრთველი 123 ცალი, ლედ ნათურა 702 ცალი, ლედ პროჟექტორი 369 ცალი, ლედ სანათი 708 ცალი, ფოტორელე 37 ცალი და სხვა დამხმარე ელ მასალები.

5.დასვენების პარკი „ახალბაღი“-ის განყოფილება.

დასვენების პარკ ,,ახალბაღი''-ს მიერ 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

* მოგეხსენებათ, რომ დასვენების პარკ ,,ახალბაღში'' მიმდინარეობს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

* სარეაბილიტაციო სამუშაოებზე რეგულარულად ხდება ყურადღების მიქცევა განყოფილების თანამშრომლების მიერ , რათა ხარისხიანად შესრულდეს აღნიშნული სამუშაოები.

6.დასუფთავების განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე დასუფთავების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

მოგახსენებთ, რომ დასუფთავების განყოფილების მიერ ყოველდღიურად იგვება ქალაქის 63 ქუჩა, დაგვილი მასის გატანა ხდება სატვირთო ავტომობილების საშუალებით ნაგავსაყრელზე, აღნიშნული ავტომობილები ორ- ორი მუშით ყოველ დილით ქალაქის ცენტრალური ქუჩების დასუფთავების შემდეგ აგრძელებენ მუშაობას კერძო დასახლებაში გრაფიკით დადგენილი დღეების მიხედვით და ნაგავსაყრელზე გააქვთ მოსახლეობიდან გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

* რეგულარულად იწმინდება სანიაღვრე არხები

* შემოდგომის სეზონზე, ფოთოლცვენის დროს, იქ სადაც მუდმივი წყლის დინება არ არის თითქმის ყოველდღიურად იგვება არხები და სუფთავდება დაგვილი მასისგან, ასეთი ქუჩებია: სტალინის გამზირი, ნინოშვილის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა, სამეფოს ქუჩა, რუსთაველისა და რობაქიძის ქუჩები.ასევე ნოემბრის თვეში რეგულარულად ვამუშავებთ ფოთლისამწოვ სპეციალიზებული ავტომობილს 2 მუშით და ქალაქის ტერიტორიიდან გაგვაქვს ნაგავსაყრელზე დაახლოებით 55 ტონა ფოთოლი.

* რეგულარულად იწმინდება ბორდიურის ძირები, ფეხით სავალი ნაწილები სუფთავდება მტვრისგან და ბალახისგან, ყოველდღიურად იგვება ქალაქში მდებარე ხიდები.

* ქალაქის ტერიტორიაზე მინიმუმამდე შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელები, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ქალაქის გარე უბნებში მობნეული მსუბუქი მასის აკრეფა პოლიეთილენის ტომრებში.

* ქალაქის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო 550 ნაგავშემკრები ურნა. წლის განმავლობაში მოხდა, როგორც დაზიანებული ურნების ამოცვლა, ასევე ახალი ურნების დამატება და დღეის მდგომარეობით ქალაქის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ განთავსებულია 555 ცალი ნაგავშემკრები ურნა. დღის პირველ ნახევარში ქალაქის დასუფთავებას ემსახურება 8 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომობილი და 3 ერთეული ნარჩენების ურნების დამცლელი სპეციალიზებული ავტომობილი ორ-ორი მუშით, ასევე დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით დღის მეორე ნახევარში მორიგედ მუშაობს 2 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილი ორ- ორი მუშით და 1 ერთეული თვითმცლელი ავტომობილი 1 მუშით, რაც აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

* დასუფთავების განყოფილება ემსახურება გორის მუნიციპალიტეტის 77 სოფელს, სადაც განლაგებული იყო 1450 ნარჩენების ურნა, ზოგიერთ სოფელში დაემატა ურნები და დღეის მდგომარეობით 77 სოფელში განლაგებულია 1460 ნაგავშემკრები ურნა. სოფლებში მომსახურება ხდება 3 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილით, 3 მუშით, დამტკიცებული გრაფიკით ყოველ მე-4 დღეს.

* პერიოდულად, პოლიეთილენის ტომრების გამოყენებით მუშების დახმარებით, ხდება სოფლებში მობნეული მსუბუქი მასის აკრეფა. 2022 წელს აღნიშული სამუშაოები განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებში, შემდეგი პერიოდულობით: ტყვიავი - 4 ჯერ, კარალეთი 3- ჯერ, მეჯვრისხევი - 3 ჯერ, ვარიანი - 2 ჯერ, შინდისი - 4 ჯერ, ქვახვრელი - 3 ჯერ, ხიდისთავი - 2 ჯერ, ბერბუკი- 2 ჯერ, ასევე საჭიროების მიხედვით ვასუფთავებთ სოფელ გორიჯვრის და წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ მიმავალ საავტომობილო გზას და მის მიმდებარე ტერიტორიას.

* გაწმენდილი და ლიკვიდირებული იქნა, გორში და მუნიციპალიტეტის სოფლებში, მერიიდან შემოსული წერილების და ჩვენი სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული სტიქიური

ნაგავსაყრელები (ჯამში 10 ლოკაცია).

* საანგარიშო პერიოდში დასუფთავების განყოფილებას დაეწერა 56 წერილი, საიდაც შესრულდა 39, უარი ეთქვა 12-ს, ხოლო 5 წერილის შესრულებას ვანხორციელებთ ამ მომენტში.

* 2021 წლის ოქტომბრიდან დღემდე გორიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გატანილია დაახლოებით 32 940 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და დაგვილი მასა.

7.მონიტორინგის განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მონიტორინგის განყოფილება:

· ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს წესდებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების სრულყოფილ შესრულებაზე;

· უწევს მონიტორინგს სააგენტოში დასაქმებულების (როგორც საშტატო ერთეულით, ასევე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულები) მიერ მათთვის სააგენტოში მოქმედი წესდებით, შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრული მოვალეობების სრულყოფილ შესრულებას;

· უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ დაგეგმილი სამუშაოების ორგანიზებასა და მონიტორინგს;

· ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს თითოეული განყოფილების მიერ დაგეგმილ, შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოებზე;

· ახორციელებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებაზე მონიტორინგს.

· შეისწავლის სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციას და კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისი განყოფილების მეშვეობით, უზრუნველყოფს წერილში მოთხოვნილი სამუშაოების შესრულებას.

მოგახსენებთ,რომ 2021 წლის ოქტომბრის თვიდან დღემდე მონიტორინის განყოფილებას შესასწავლად დაეწერა 63 წერილი, აქედან შესრულდა 21 წერილში მოთხოვნილი სამუშაო და ვერ შესრულდა 42 წერილში მოთხოვნილი სამუშაო.

კერძოდ შესრულდა:

სამშენებლო მასალის გამოყოფა 7

ტექინიკის გამოყოფა 1

არხის გაწმენდვა 13

უარი ეთქვა:

არხის გაწმენდვა 25

სამშენებლო მასალა 14

ტექნიკით დახმარება 3

8.გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილება.

2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ გაწიული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

* საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილებამ შეასრულა 109 წერილი, ხოლო უარი ეთქვა 25 წერილს.

* დაიბარა თეატრის, შოთა რუსთაველის, დიდების მუზეუმის, სტალინის და მე -3 სკოლასთან არსებული სკვერები.

* გაისხლა მრავალ წლიანი ნარგავები: ჭავჭავაძის, აღმაშენებლის, მშვიდობის, სტალინის და სუხიშვილის ქუჩებზე.

* სკვერებში და გაზონებში დეკორატიულად გაიკრიჭა მარადმწვანე ბუჩქები და ლუგუსტრუმები.

* სისტემატურად მიმდინარეობს სკვერების და გაზონების თიბვის სამუშაოები, ასევე სკვერებში და გაზონებში ფეხით სავალი ბილიკები სუფთავდება სარეველა ბალახისგან და იწამლება გერბიციდის ხსნარით.

* ვანხორციელებთ ქალაქში არსებული სკვერებისა და გაზონების ჩამოცვენილი ფოთლებისგან გასუფთავებას.

* მოეწყო ყვავილნარი სტალინის ბაღში, დიდების მუზემის სკვერში, რუსთაველის სკვერში და შინდისის გმირების მემორიალთან; ჯამში დაირგო 7000 ცალი ბარხატი (ტაგეტესი) და პეტუნია .

* სისტემატურად მიმდინარეობს ქალაქში არსებული მრავალ წლიანი ნარგავების და ყვავილნარების მორწყვა.

* ჩატარდა მულჩირების სამუშაოები: დიდების მუზეუმის სკვერში, სტალინის ბაღში, ვერხვებზე შსს-ს შენობის წინ არსებულ წრიულზე, სამხატვრო სკოლასთან არებულ წრიულზე და მერიის წინამდებარე გაზონში.

* მრავალწლიანი ხეების ძირები შეთეთრდა კირის ხსნარით შემდეგ მისამართებზე: გალაქტიონის ხეივანში, ბარნოვის ქუჩაზე, ძმები რომელაშვილების ქუჩაზე და წრიულზე, გოგებშვილის ქუჩაზე, სტალინის ბაღში, თეატრის ბაღში და მის წინამდებარე გაზონში.

* ჭავჭავაძის ქუჩაზე, სტალინის გამზირზე, სუხიშვილის ქუჩაზე და სხვა მუნიციპალურ ადგილებში შეიწამლა მცენარეები მავნებლებზე.

* ძმები რომელაშვილების N179-თან მოეწყო სკვერი, მოხდა შავი მიწის შეტანა, დაირგო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები და მოეწყო ყვავილნარი.

* სტალინის გამზირზე, სტალინის ბაღში და მე-3 სკოლასთან არსებულ სკვერში დაირგო სხავადასხვა ჯიშის დეკორატიული ხე-მცენარეები, ჯამში 836 ცალი.

* მოხდა სანერგე მეურნეობის ტერიტორიის დასუფთავება, მოიხნა და გაფხვიერდა მიწა. მიმდინარეობდა ხე- მცენარეების გამარგვლა, გათოხვნა, მორწყვა, გაიკრიჭა და გაისხვლა ლუგუსტრუმები, ვარდები და სხვადასხვაა მერქნიანი მცენარეები. სათბურიდნ გამოტანილ იქნა მცენარეები: კატალპა, კვიპაროსი, ტუია, ვარდი, ღვია.

* ჩატარებულ იქნა სხვადასხვა მცენარეების მავნებლების საწინააღმდეგო წამლობა, მოიწამლა ბზები, კატალპა, მუხა და სხვა დაავადებული მცენარეები.

* შეტანილ იქნა მინერალური დ აზოტოვანი სასუქები, მოირწყა აღნიშნული მცენარეები, მოიხრეშა და მოსწორდა სანერგე მეურნეობის მისასვლელი გზა, შემოიღობა და განახლდა დაზიანებული ღობე.

* მოხდა სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეების კალმების აღება: ღვია, უთხოვარი, ლუგუსტრუმი, ვერცხლისფერი ნაძვი, ვარდი, ბზა, ირმის რქა, წყავი,ბროწეული.

* დაითესა: ნეკერჩხალი, კატალპა, ცაცვი, მუხა, ცხენის წაბლი, ტუია, კვიპაროსი, კედარი, წყავი, ფიჭვი, სოჭი, ნუში, ტუხტი, ბოყვი, იფანი, საპნის ხე, აკაკი, ჯამში 15000 ცალი.

* წარმოგიდნეთ ცხრილის სახით საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ ხე-მცენარეების დარგვის, მოჭრა - გადაბელვის ადგილებს.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიერ 2021წ. ოქტომბრიდან 2022წ ოქტომბრამდე მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ მოჭრისა და გადაბელვის ადგილები			
სამუშაოს ჩატარების ადგილი	**მოჭრა**	**გადაბელვა**	**გასხვლა**
გორი	74	35	85
სათემო	5	2	
ძევერა	3		10
სკრა	2		
ქერე		2	
მეჯვრისხევი	9	27	
არაშენდა ახალდაბა			70
გორიჯვარი	1		
ტირძნისი	10	3	
ბროწლეთი			1
ქვეში	12		
ვარიანი	3	1	
შინდისი	3	1	6
ხიდისთავი	2		
ტყვიავი ერგნეთი			80
ქვემო ხვითი	1		
ხელთუბანი	4		
საქაშეთი	3	6	
ბერბუკი		11	
ციცაგიაანთკარი		7	

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიერ 2021წ ოქტომრიდან 2022წ.ოქტომბრამდე შემოსული წერილების საფუძველზე გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ ხე-მცენარეების დარგვის ადგილები.																			
სამუშაოს ჩატარების ადგილი	**ტუია**	**ი ფანი**	**ლუგუსტრუმი**	**კვიპაროსი**	**კატალპა**	**ცხენის წაბლი**	**ნეკერჩხალი**	**ვარდი**	**საპნის ხე**	**ტირიფი**	**ტუხტი**	**სოფორა**	**წყავი**	**კედარი**	**ფიჭვი**	**მუხა**	**ვაზი**	**ბზა**	**ემონიუსი**
გორი	5	108	130		5	11				15								5	
მე-5 ქვბრიგადა	17	11			11		3			11	11		4	2	2				
ხიდი სთავის სკოლა	17		230	3	30	24		20		10							70		
კასპის მუნიციპალიტეტი		10	300		20		5			10	20		5		3				
სობის სკოლა	20	20														20			
ერგნეთის სკოლა											10								
სადგ																			

იურიდიული მისამართი: საქართველო, გორი, სტალინის გამზირი №16
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, გორი, ცხინვალის გზ. მე-2 კმ.
Legal address: Georgia, Gori, Stalin Avenue №16
Actual address: Georgia, Gori, Tskhinvali road. 2nd km.

ური (ეკლესია)	18		300	6	5			15			6		7		5				
ქვახვრელი	5	20	60	8	10		10		5	5	5	5				5			
მე-11 სკოლა		5			5		5												
სვენეთის სკოლა	25		50		5		5		5		10	5							
კომბინატის პოლიცია	11						2						10						5
კარალეთი	12		100				5	10					7					4	

9.სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილება.

სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილების მიერ 2021 წელს ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

სულ დაიკრძალა 363 გარდაცვლილი.

საფლავისთვის გაიცა 109 ახალი ადგილი, არსებულში დაიკრძალა 254, თვითმომსახურებით დაიკრძალა 20.

სისტემატურად ხდება სასაფლაოს ტერიტორიის დასუფთავება და ადმინისტრაციის შენობასთან არსებული ავზების წყლით შევსება, რათა მოსახლეობამ ისარგებლოს ნარგავების მოსარწყავად. ასევე, თოვლის შემთხვევაში ა(ა)იპ კეთილმოწყობის სააგენტო უზრუნველყოფს გზებზე ტექნიკური მარილის დაყრას, რათა არ შეფერხდეს მიცვალებულების დაკრძალვის პროცესი.

ა(ა)იპ კეთილმოწყობის სააგენტოსა და შ.პ.ს ,,გორმედს,, შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ვანხორციელებთ ბიოლოგიური მასალის დამარხვას სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე.

პატივისცემით,

გიორგი ბარჯაძე

გამოყენებულია კვალიფიციური